

14/08/2025



MES 7 25 0000985805

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა შერეული ფორმატით, **2025 წლის 4 აგვისტოს 10:30 საათზე**, საბჭოს წევრები და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები სხდომას ესწრებოდნენ ფიზიკურ გარემოში, ხოლო ექსპერტები და დაწესებულებების წარმომადგენლები დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=87699453880>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
(შემდგომში-საბჭო) წევრები:**

**ელენე კაკაბაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;

**ხათუნა ჩხარტიშვილი** - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ნათია ბუთხუზი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;

**გიორგი ვეკუა** - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

**ხათუნა ცერცვაძე** - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;

**ანა აროშიძე** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;

**ეკატერინე გიგაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

**გოჩა გოგიტიძე** - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

**გოგიტა მშვენიერაძე** - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2" - ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)  
წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**სოფიკო ბექირაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ლონდა მინდიაშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

- მარიამ აბელიანი
- ალინა კუპრავა
- ნანა ხითარიშვილი
- თამთა კვინიკაძე
- ნათია მაწკეპლაძე
- მედეა ქოქრაშვილი
- ზურაბ მესხიძე
- ბექარ კილასონია
- მანანა მახარაშვილი
- მეგი როსტიაშვილი-წიკლაური
- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- ნინო რამიშვილი
- ნატო გაბოშვილი
- თორნიკე თუთარაშვილი
- მანანა მოისწრაფიშვილი
- თინათინ მეფარიშვილი
- ნანა ხუფაცარია
- ლელა მაისურაძე
- ნინო მაზმიშვილი
- დევიდ ფასიეშვილი

### **საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №3 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - ირმა ტატიშვილი

**სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლა**  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ლელა ბლიაძე  
დირექტორის მოადგილე - ნინო ჟამიერაშვილი

**სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - ჟუჟუნა გოგოლაური  
სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი - ნინო ყურმაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - მარინა დვალაშვილი

**სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - ბაქარ ერაგია

**სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლა**

დირექტორი - გიორგი ოსაძე

პროფესიული ინტეგრირებული კლასის ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო ფაილოძე

**სსიპ ბათუმის №10 საჯარო სკოლა**

დირექტორის მოადგილე/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი -  
ხათუნა დოლიძე

**სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლა**

დირექტორი - რუსუდან კეკელიძე

**სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლა**

დირექტორი - ქეთევან ჩოქური

**სსიპ - ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლა**

დირექტორი - შორენა ბუნტური

**სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა**

დირექტორი - მედეა ქოქრაშვილი

**სსიპ - ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლა**

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ცისანა წიქარიძე

**სსიპ - ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლა**

დირექტორი - თამარ ჭარბაძე

**სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლა**

დირექტორი - ლევან ლურჯვაია

**სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლა**

დირექტორი - მანანა ჩალაბაშვილი

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლა**

დირექტორი - სალომე სარალიძე

**სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლა**

დირექტორი - მაია ხახალაიშვილი

**სსიპ სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის №1 საჯარო სკოლა**

დირექტორი - ირმა წაქაძე

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლა**

დირექტორი - ნარგიზ რომანაძე

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - ლევან ლურწყაია

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - სალომე სარალიძე

**სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლა**  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ვერა ბენიძე  
პროფესიული ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი ელისო ჯიქია

**სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - თეონა ადვიშვილი  
პროფესიული განათლების კოორდინატორი - ნათია ჩხაიძე  
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო სანიკიძე

**სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა**  
დირექტორის მოადგილე, პროფესიული პროგრამის კოორდინატორი - მზევინარ კვინიკაძე  
ხარისხის მართვის მენეჯერი - თეონა მუმლაძე

**სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - ინგა წიგნაძე  
პროგრამის კოორდინატორი - თამარ კუბლაშვილი

**სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - ცირა ბრეგვაძე  
კოორდინატორი - თამარ ხარაიშვილი  
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - მირანდა ბრეგვაძე  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - კახაბერ ცერცვაძე

**სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა**  
დირექტორი - მზევინარ ტაბატაძე  
კოორდინატორი - რუსუდან მიროტაძე  
ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ კაციტაძე

**სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - მანანა ლაცაბიძე

**სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლა**  
დირექტორი - რუსუდან ლომიძე

**სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლა**  
დირექტორი - ნინო გარსევანიშვილი

**სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა**  
დირექტორი - ლელა ბიბილური  
დირექტორის მოადგილე (კოორდინატორი) - ნინო საბაშვილი  
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნათია საბაშვილი

**სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ გორის №9 საჯარო სკოლა**

დირექტორი - ეკატერინე ხუციშვილი

პროფესიული განათლების კოორდინატორი - ანა მაკასარაშვილი

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - მარიამ მაჭავარიანი

**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა**

დირექტორი - ნაზი თათანაშვილი

პროფესიული განათლების კოორდინატორი - თეა ლომიტაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - ეკა ქუთათელაძე

**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლა**

დირექტორი - ჯუნა ცხოვრებაძე

პროფესიული განათლების კოორდინატორი - მანანა ბერიკაშვილი

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - როდამ ბუზალაძე

**სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა**

დირექტორი - ირინა ხელისუფალი

პროფესიული განათლების კოორდინატორი - ნინო ხრიკაძე

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის/მართვის მიმართულებით მომუშავე პირი - თეა სამსონიძე

**სსიპ - ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლა**

დირექტორი - ნათია მაზანაშვილი

**სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლა**

დირექტორი - შორენა მამუკაშვილი

**სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლა**

დირექტორი - ლალი კომლაძე

პროფესიული განათლების კოორდინატორი - ნინო მეცხვარიშვილი

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნათია ზაქარაშვილი

**სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლა**

დირექტორი - ლია ნადირაძე

**სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლა**

დირექტორი - მაკა დეკანოიძე

**სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კობოლულის №1 საჯარო სკოლა**

დირექტორი - ბეგლარ არჯევანიძე

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 10:30 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის

პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

## **დღის წესრიგი:**

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი);
2. სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ ჭიათურის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის №9 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

14. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეზნისის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ - ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
17. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
18. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
19. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
20. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
21. სსიპ - ქრისტინე ხარშილამის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კობოულის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომაზე დამსწრე პირებს შუამდგომლობა არ ჰქონიათ.

**პირველი საკითხი:** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაც ილება**

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა მარიამ აბელიანმა, ალინა კუპრაევამ და ნანა ხითარიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტი აღინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო საკითხთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ 2024 წლის 24 აგვისტოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ოცი საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხები (ოქმი N1013513 - 26.08.2024).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ოცივე საჯარო სკოლაში პსდ ავტორიზაციის სტანდარტების 2.2. კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგის ვიზიტების განხორციელების თაობაზე, რაც სამსახურმა უკვე განახორციელა (აღნიშნული საკითხები უკვე გატანილია საბჭოზე). საბჭომ, ამავე სხდომაზე, შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ოცივე საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტის (რომელიც შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი) გადამოწმების მიზნით მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონიტორინგის განხორციელების პერიოდად საბჭომ განსაზღვრა 2025 წლის 25 მარტი, ხოლო მონიტორინგის ფორმად - დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდება.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სამსახურმა ოცივე საჯარო სკოლას გაუგზავნა წერილები, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ანგარიშის წარმოდგენა 4.1 კომპონენტის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. ოცივე საჯარო სკოლამ ცენტრში წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია და მტკიცებულებები.

ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია/მტკიცებულებები და შეაფასეს 4.1 კომპონენტის მოთხოვნების შესრულების ხარისხი; მომზადდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის წარსადგენად.

აღინა კუპრავამ განაცხადა, რომ გამოთხოვილი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 4.1 კომპონენტი დაკმაყოფილებულია. გაიცა რეკომენდაციები 4.1.1.3; 4.1.1.3; 4.1.2.2; 4.1.1 და 4.1.2 ინდიკატორთან მიმართებაში, რეკომენდაციები არ გაცემულა შემდეგ სკოლებში - სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლა, სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლა, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №3 საჯარო სკოლა, სსიპ სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლა.

დოკუმენტაციის შეფასებისას გაცემული რეკომენდაციები ქვემოთ ჩამოთვლილ სკოლებში:

#### **სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლა**

- 4.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია, ხარისხის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყოს ვინ იქნება ჩართული მხარე თითოეულ აქტივობაზე და რა იქნება აქტივობის შესრულების ინდიკატორი/მტკიცებულება - აღნიშნული ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის გამჭვირვალობასა და პროცესის დროულად მართვას;
- 4.1.2.2. ინდიკატორი - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ტერმინოლოგიური შესაბამისობა. პერსონალის ხელშეკრულებაში მითითებული პოზიციის დასახელება იდენტური იყოს “პერსონალის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტში” არსებულ პოზიციის დასახელებებთან.

#### **სსიპ - ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლა**

- 4.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია, ხარისხის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყოს ვინ იქნება ჩართული მხარე თითოეულ აქტივობაზე და რა იქნება

აქტივობის შესრულების ინდიკატორი/მტკიცებულება - აღნიშნული ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის გამჭვირვალობასა და პროცესის დროულად მართვას. ასევე, სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ტერმინოლოგიური შესაბამისობა დოკუმენტაციებში.

#### **სსიპ - ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლა**

- 4.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია, ხარისხის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყოს ვინ იქნება ჩართული მხარე თითოეულ აქტივობაზე - აღნიშნული ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის გამჭვირვალობასა და პროცესის დროულად მართვას.

#### **სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლა**

- 4.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია, დაწესებულებამ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო ტერმინი ჩაანაცვლოს პროფესიულ განათლებაში არსებული ტერმინებით. ასევე, სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ტერმინოლოგიური შესაბამისობა დოკუმენტაციებში.

#### **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლა**

- 4.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია, დაწესებულებამ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო ტერმინი ჩაანაცვლოს პროფესიულ განათლებაში არსებული ტერმინებით.

#### **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლა**

- 4.1.1.1. ინდიკატორი - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობების ინტეგრირება „თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების“ დოკუმენტში, რათა ის სრულად ასახავდეს სტრუქტურით განსაზღვრული ყველა პოზიციის ფუნქციურ დატვირთვას;
- 4.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს თითოეული აქტივობის განხორციელებაში ჩართული მხარეები და პასუხისმგებელი პირები რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ობიექტურ შეფასებას.

#### **სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლა**

- 4.1.1.1. ინდიკატორი - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კორდინატორის, შესყიდვების სპეციალისტის, რეესტრზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობების ინტეგრირება „თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების“ დოკუმენტში, რათა ის სრულად ასახავდეს სტრუქტურით განსაზღვრული ყველა პოზიციის ფუნქციურ დატვირთვას.

#### **სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლა**

- 4.1.1.1. ინდიკატორი - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის უფლება-მოვალეობების ინტეგრირება პერსონალის სამუშაო აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში რათა ის სრულად ასახავდეს სტრუქტურით განსაზღვრული ყველა პოზიციის ფუნქციურ დატვირთვას.

**სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა; სსიპ ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლა**

- 4.1.1.1. ინდიკატორი - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს: პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის და პროფესიული განათლების კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ინტეგრირება „თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების“ დოკუმენტში, რათა ის სრულად ასახავდეს სტრუქტურით განსაზღვრული ყველა პოზიციის ფუნქციურ დატვირთვას;
- 4.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს თითოეული აქტივობის განხორციელებაში ჩართული მხარეები და პასუხისმგებელი პირები რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ობიექტურ შეფასებას.

**სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლა**

- 4.1.1. ინდიკატორი - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ტერმინოლოგიური შესაბამისობა სტრუქტურულ სქემასა და თანამდებობრივ დოკუმენტაციას შორის; უზრუნველყოფილ იქნას მეთოდოლოგიური თანხვედრა პოლიტიკურ დოკუმენტსა და მათი დანართის დასახელებას შორის.

**სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა**

- 4.1.1. ინდიკატორი - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ტერმინოლოგიური შესაბამისობა სტრუქტურულ სქემას და გაფორმებულ ხელშეკრულებაში პოზიციის დასახელებას შორის.

**სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლა**

- 4.1.1. ინდიკატორი - ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამოქმედო გეგმაში აქტივობების შესრულების ვადად მითითებულია ზოგადი ფორმულირება – „2025 წელი“. სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს აღნიშნულ გეგმას და განასაზღვროს ზუსტი ვადები ან თვეების დიაპაზონები კონკრეტული აქტივობებისთვის. დეტალიზებული ვადების მითითება ხელს შეუწყობს: სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესის სისტემატიზაციას; შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს – ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა მონიტორინგისა და შეფასების სავარაუდო პერიოდებზე; ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის გამჭვირვალობასა და პროცესის დროულად მართვას;
- 4.1.2. ინდიკატორი - დოკუმენტის სახელწოდება – „შინაგანაწესი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში“ – ფორმულირებულია გაუგებრად და იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას მის შინაარსთან მიმართებით. სასურველია დოკუმენტის დასახელების დაზუსტება, რათა მკაფიოდ აისახოს მისი შინაარსი და დანიშნულება.

## სსიპ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა

- 4.1.1. ინდიკატორი - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ტერმინოლოგიური შესაბამისობა სტრუქტურულ სქემას და გაფორმებულ ხელშეკრულებაში პოზიციების დასახელებას შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ცენტრში წარმოდგენილი წერილების, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 13 მაისის № 515387 სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ქვემოთ ჩამოთვლილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით (მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი):

1. სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლა
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლა
3. სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლა
4. სსიპ -ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლა
5. სსიპ ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლა
6. სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლა
7. სსიპ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა
8. სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლა
9. სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლა
10. სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლა
11. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის №3 საჯარო სკოლა
12. სსიპ სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის №1 საჯარო სკოლა
13. სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა
14. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლა
15. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა
16. სსიპ ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლა
17. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლა
18. სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლა
19. სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლა
20. სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი 20 საკითხი პრაქტიკულად იდენტური საკითხებია და ეხებოდა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას. ყველა წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ დასკვნებში დაფიქსირებულია იდენტური შესაბამისობის რეკომენდაციები, რომლებიც ეხება როგორც ადამიანურ, ასევე, პროფესიული პროგრამების მატერიალური რესურსების განვითარების საკითხებს.

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ერთიანი ხედვის ფარგლებში, 2025 წელს იგეგმება იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც განახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. სამინისტროს მიერ, საბოლოო ჯამში, შეირჩა 64 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი, გასულ წლებში, გავლილი აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებით. სამინისტროს ერთიანი კოორდინაციით, აღნიშნულ დაწესებულებებს, გაეწიათ მხარდამჭერი სერვისები ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, რის შედეგადაც 64 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა განაცხადები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ.

2025 წლის 3 აგვისტოს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, განხილული იქნა აღნიშნული სკოლებიდან 21 სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა 64 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის მონიტორინგის ვადების გადატანასთან დაკავშირებით. აღნიშნული შუამდგომლობა გამოწვეულია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ლიკვიდაციის გადაწყვეტილებით, რომელიც პასუხიმგებელი იყო წარმოდგენილ სკოლებში მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურული საკითხების მოწყობა/მოხილვაზე სკოლებში. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული საკითხი გადაეცა ადგილობრივ თვითმმართველობებს/მუნიციპალიტეტებს, განხორციელდა შესაბამისი ფინანსების გამოყოფა სამინისტროს მიერ და ამ ფინანსების ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის/მუნიციპალიტეტებისთვის გადარიცხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრომ ითხოვა დამატებითი ვადა სკოლების სრულად მოწყობისათვის და ეს ვადა განისაზღვრა საბჭოს სხდომიდან 6 თვე (2026 წლის იანვარი). ასევე, სამინისტროს მხრიდანვე სკოლებისთვის გაიცა რეკომენდაცია, სასწავლო გეგმების დაკორექტირებასთან დაკავშირებით, იმგვარად, რომ სასწავლო პროცესის დაწყებას არ შეეშალოს ხელი.

საბჭომ მოისმინა და განიხილა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე დაეთანხმა მას.

**მეორე საკითხი:** სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამთა კვინიკაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25/06/2025 წლის N751042 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება იპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლაში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის (1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის (3.1. კომპონენტი), დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3., 2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 5 ივლისს განხორციელდა სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლაში (მის: ქ. ხონი, რეზო შამათავას ქ. №16) ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალა იერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომელიც განახორციელებენ ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სწავლებას და დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალა იერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები საჭიროებს შესაბამის მოწყობას, რაც გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმაში. შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს მის ხელთ არსებული ფართი, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს შეფერხების გარეშე, როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი მიმართულებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები გაწერილია ისე, რომ ზოგადი და პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელებას არ შეეშალოს ხელი. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები, კერძოდ

- 2.2.1.1. ინდიკატორი - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულებას გამოყოფილი აქვს C გარემო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front- end დეველოპმენტის“ განსახორციელებლად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს „სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს, დაწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მიმართულება. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარადაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცე პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცე. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (16.06.2025. №2-71), სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსით, რომელიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.
- 2.2.1.2. ინდიკატორი - პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 14 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 3 პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა მხოლოდ 1 ჯგუფის მიღების შემთხვევაში არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია ერთი განმახორციელებელი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა (16.06.2025 №2-71), სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შექმნას საფრთხე. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ

მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით, რაც შეეხება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირებს, კომპეტენცია უდასტურდებათ მხოლოდ დარგობრივი მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დაწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმახორციელებელ პირებს. რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის კომპეტენციას, ისინი საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა რომ, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

- 2.2.1.4. ინდიკატორი - პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ ხელმძღვანელია პროგრამის განმახორციელებელი პირი. დაწესებულებამ მისი კომპეტენციის დასადასტურებლად წარმოადგინა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებას. პროფესიული განათლების მასწავლებელს არ აქვს გამოცდილება სამუშაო გამოცდილება Front-end დეველოპმენტის მიმართულებით, სასურველია დაწესებულებამ პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნოს მეტი დარგობრივი გამოცდილების მქონე პირი, სკოლას ასეთი პირები ყავს განმახორციელებლად. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, ამდენად დაწესებულება მეტწილად შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნებთან.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად შემუშავებული აქვს შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც ის გეგმავს აღნიშნულ ვადაში მოიძიოს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსები და აღჭურვოს სკოლის ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო რესურსით მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დაწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმახორციელებელ პირებს. ამდენად დაწესებულება მეტწილად შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან.

- 4.1.1.1. ინდიკატორი - სკოლას დამტკიცებული აქვს სამტატო განრიგი, რომლითაც გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულია წინარე შეთანხმებები აღნიშნული პერსონალის ნაწილი ემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. დირექტორის ბრძანებით № 2-70, 16.06.2025 დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს შტატების სამუშაო აღწერილობას. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პოზიციის დასახელება, ფუნქცია მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სასურველი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, დამატებითი მოთხოვნები. პირად საქმეებში დაცული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტები ხელმოწერილია დასაქმებულთა მიერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის №2-71 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. აღნიშნულით დაკმაყოფილდება ინდიკატორის მოთხოვნა. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-69 ბრძანებით დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია, ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტანდარტთან შესაბამისობის 18 თვიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოიძიოს და სრულად დააკომპლექტოს დაწესებულება პერსონალით, რომელიც ხელს შეუწობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.
- 4.1.1.3. ინდიკატორი - დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებულია აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 2025 წლის 16 ივნისის დირექტორის №2- 69 ბრძანებით, რომლის მიხედვითაც „ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართული იქნება ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების

აღმოსაფხვრელად. მოხდება მიღებული შედეგების გაანალიზება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იმოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) შეამოწმე; A (act) - განავითარე). გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ამ ეტაპისთვის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია პირი, რომელსაც არ აქვს შესაბამისი გამოცდილება, თუმცა ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ უნარების სააგენტოს მხრიდან იგეგმება მისი გაძლიერება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები, კერძოდ დაწესებულებას მიეცა ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულების სპეციფიკას.

- 2.1.1.2. ინდიკატორი - სასურველია, მოდულის „დინამიური ვებგვერდის შექმნა TypeScript-ის საშუალებით“ დაწყებამდე რეკომენდებულია სტუდენტებმა წინასწარ გაიარონ მოდული „ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შექმნა React-ის საშუალებით“. აღნიშნული თანმიმდევრობა ხელს შეუწყობს სტუდენტებისთვის სწავლების პროცესის გამარტივებას, ცოდნის გადაცემის ეფექტურობასა და ახალი მასალის უკეთ აღქმას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლას (ს/კ: 244970778) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „Front – end დეველოპმენტის“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მესამე საკითხი:** სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამთა კვინიკაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 24/06/2025 წლის №740840 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება - სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლაში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა)

ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის (1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის (3.1. კომპონენტი), დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3.,2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 6 ივლისს განხორციელდა - სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლაში. ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალაიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომლებიც განახორციელებენ ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სწავლებას და დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირები. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალაიერებით, სივრცე, სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) საჭიროებს შესაბამის მოწყობას, რაც გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შენობის ვიზუალური დათვალაიერების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს მის ხელთ არსებული ფართი, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს შეფერხების გარეშე, როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი მიმართულებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები გაწერილია ისე, რომ ზოგადი და პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელებას არ შეემალოს ხელი. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალაიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები მე-2 და მე-4 სტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ

- 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულებას გამოყოფილი აქვს გარემოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განსახორციელებლად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს „სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს, დაწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთისა და ფეხბურთის მიმართულება. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარადაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცეები. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (16.06.2025. №2-22) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 6 მაისის კორესპონდენცია, სადაც პროფესიული განათლების განვითარების სამინისტროს მიეწოდება ინფორმაცია და ის იღებს ვალდებულებას, რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის

დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- 2.2.1.2. ინდიკატორი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 10 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა მხოლოდ 1 ჯგუფის მიღების შემთხვევაში არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია ერთი განმახორციელებელი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა (№2-22, 16.06.2025) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შექმნას საფრთხე. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - სკოლის 2025 წლის 16 ივნისის დირექტორის №2-20 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსაზღვრული მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით რაც შეეხება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირებს, კომპეტენცია უდასტურდებათ მხოლოდ დარგობრივი მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დაწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმახორციელებელ პირებს. რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის კომპეტენციას, ისინი საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. გარდა აღნიშნულისა, ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია
- 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული

განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

- 2.2.1.4. ინდიკატორი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელია პროგრამის განმახორციელებელი პირი. დაწესებულებამ მისი კომპეტენციის დასადასტურებლად წარმოადგინა განათლებისა და სამუშაო. პროფესიული განათლების მასწავლებელს არ აქვს გამოცდილება კომპიუტერული ქსელების მიმართულებით. დაწესებულება გეგმავს მასწავლებლების გაძლიერებას, რისთვისაც შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, ამდენად დაწესებულება მეტწილად შესაბამისი ინდიკატორის მოთხოვნებთან.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად შემუშავებული აქვს შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც ის გეგმას აღნიშნულ ვადაში მოიძიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსები და აღჭურვოს სკოლის ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო რესურსით მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დაწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმახორციელებელ პირებს. ამდენად დაწესებულება მეტწილად შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან;
- 4.1.1.1. ინდიკატორი - სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, რომლითაც გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულია წინარე შრომის ხელშეკრულებები. აღნიშნული პერსონალი ემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-20 ბრძანებით დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, კოორდინატორის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის, შესყიდვების სპეციალისტის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პოზიციის დასახელება, ფუნქცია მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სასურველი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, დამატებითი მოთხოვნები. პირადი საქმეებში დაცული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტები ხელმოწერილია დასაქმებულთა მიერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის 16.06.2025 წლის 16 ივნისის №2-22 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. აღნიშნულით დაკმაყოფილდება ინდიკატორის მოთხოვნა. სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ იგეგმება თანამშრომელთა შტატში დასაქმება. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2- 20 ბრძანებით დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, რომელშიც

განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, კოორდინატორის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის და შესყიდვების სპეციალისტის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტანდარტთან შესაბამისობის 18 თვიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოიძიოს და სრულად დააკომპლექტოს დაწესებულება პერსონალით, რომელიც ხელს შეუწობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

- 4.1.1.3. ინდიკატორი - დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებულია აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2- 20 ბრძანებით, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართული იქნება ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მოხდება მიღებული შედეგების გაანალიზება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იმოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) შეამოწმე; A (act) - განავითარე). გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ამ ეტაპისთვის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელი, რომელსაც შეთავსებული აქვს საქმიანობა. აღნიშნულ პირს არ აქვს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია ხარისხის მენეჯერის ფუნქცია მოვალეობების შესასრულებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები, კერძოდ დაწესებულებას ეძლევა ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულების სპეციფიკას.

- 2.2.1.3. ინდიკატორი - პროგრამა „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ ეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიურ სტანდარტებს და ბაზრის მოთხოვნებს. იმისათვის, რომ სწავლების ხარისხი შეესაბამებოდეს საერთაშორისო დონეს და კურსდამთავრებულებმა მიიღონ პრაქტიკული, რეალურ სავალდებულო უნარებზე დაფუძნებული განათლება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პროგრამაში ჩართული მასწავლებლები დაეუფლონ და ფლობდნენ CISCO CCNA (Cisco Certified Network Associate) სერთიფიკატს. აღნიშნული სერთიფიკატი არ წარმოადგენს მხოლოდ პროფესიული კომპეტენციის ინდიკატორს, არამედ უზრუნველყოფს მასწავლებლის აქტუალურ ცოდნას ქსელური ტექნოლოგიების, უსაფრთხოების, IT-კომუნიკაციების და ინფრასტრუქტურის მიმართულებით. CCNA სერთიფიკატის მქონე მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა: სწავლების პროცესში დანერგოს პრაქტიკაზე ორიენტირებული და ტექნიკურად სანდო მიდგომები, ეფექტურად მოამზადოს მოსწავლეები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარების ასათვისებლად, დააკავშიროს თეორია რეალურ პროფესიულ გარემოსთან და მოემსახუროს პროგრამის მიზნების ხარისხიან შესრულებას. რეკომენდებულია, რომ

აღნიშნულ პროგრამაში ჩართული მასწავლებელი გაიაროს CISCO CCNA სერტიფიცირების პროცესი, რაც იქნება როგორც პიროვნული პროფესიული ზრდის, ისე პროგრამის სანდოობის და ეფექტურობის მნიშვნელოვანი გარანტი.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 229655619) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭო სწევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 25 ივნისის №750116 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 7 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ ზაზა ფერამის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლაში, (ქ. ზესტაფონი, სოფელი შორაპანი, ფარნავაზ მეფის ქ. №21). დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის (1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის (3.1. კომპონენტი), დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3., 2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. ასევე ვიზიტის ფარგლებში დეტალურად განიხილა მისია ხედვა ღირებულებები, შესაბამისი ოქმები, გაზიარების მექანიზმები, შემოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-60 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მისცა ექსპერტთა ჯგუფს საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა

და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები, კერძოდ:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და უზრუნველყოს სტრუქტურის გადახედვა და თანამშრომელთა ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.
- 4.1.1.3. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და განახორციელოს განახლებული, ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება.
- 2.2.1.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში ჩათვლით დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით.
- 2.2.1.2. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისა და მდგრადობისათვის დამატებით შესაბამისი კომპეტენციის პროფესიულ მასწავლებელთა მოძიება.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგების დაგეგმვა / განხორციელება, საჭიროებისამებრ.
- 2.2.1.4. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის განვითარება, მიზნობრივი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით მენეჯერული და საგანმანათლებლო კომპეტენციების გაუმჯობესება.

გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ დაწესებულებას მიეცა ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულების სპეციფიკას. ასევე დადგინდეს, რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტები ლაბორატორიულ სივრცეში.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მაძღვანელობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ზაზა ფერამის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ზაზა ფერადის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლას (ს/კ: 230078493) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ზაზა ფერადის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3).

**საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი** სსიპ ზაზა ფერადის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

**წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება** შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეხუთე საკითხი:** სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითააცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითააცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 25 ივნისის №750145 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 8 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლაში, (ქ. ზესტაფონი, სოფელი მეორე სვირის პირველი ქუჩა N46). დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის (1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის (3.1. კომპონენტი), დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3.,2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ასევე ვიზიტის ფარგლებში დეტალურად განიხილა მისია, ხედვა, ღირებულებები, შესაბამისი ოქმები, გაზიარების მექანიზმები, შემოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული A, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-63 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მისცა ექსპერტებს საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და უზრუნველყოს სტრუქტურის გადახედვა და თანამშრომელთა ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ

უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.

- 4.1.1.3. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და განხორციელოს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა.
- 4.1.2.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება, შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავება.
- 2.2.1.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით.
- 2.2.1.2. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისა და მდგრადობისათვის დამატებით შესაბამისი კომპეტენციის პროფესიულ მასწავლებელთა მოძიება.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგების დაგეგმვა / განხორციელება, საჭიროებისამებრ.
- 2.2.1.4. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის განვითარება, მიზნობრივი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით მენეჯერული და საგანმანათლებლო კომპეტენციების გაუმჯობესება.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება.

გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები, კერძოდ დაწესებულებას მიეცა ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულების სპეციფიკას.

სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს ფეხბურთი და მაგიდის ჩოგბურთი, ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტიანად წარიმართოს სწავლება, მაგიდის ჩოგბურთისათვის გამოყოფილია ცალკე სივრცე, შესაბამისად რეკომენდებულია არსებული სივრცის გამოყენებისათვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინფრასტრუქტურის თანაბარი ხელმისაწვდომობა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 230078340) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 4).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეექვსე საკითხი:** სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითააცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითააცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 24 ივნისის №739586 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 9 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლაში, (ქ. ზესტაფონი, სოფელი მეორე სვირის პირველი ქუჩა №46). დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის (1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის (3.1. კომპონენტი), დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3., 2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. ასევე ვიზიტის ფარგლებში დეტალურად განიხილა მისია ხედვა ღირებულებები, შესაბამისი ოქმები, გაზიარების მექანიზმები, შემოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული A, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №2-156 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მისცა ექსპერტებს საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და უზრუნველყოს სტრუქტურის გადახედვა და თანამშრომელთა ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა.

- 4.1.1.2. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.
- 4.1.1.3. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და განახორციელოს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა.
- 4.1.2.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება, შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავება.
- 2.2.1.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. ასევე დაწესებულებას 2025 წლის 2 ივნისს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ქალაქ ჭიათურის №4 საჯარო სკოლასთან. მემორანდუმის თანახმად, „სსიპ ქალაქ ჭიათურის №4 საჯარო სკოლა“ „სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლის“ პროფესიულ სტუდენტებს და სკოლის დარგობრივ სპეციალისტს (სპორტი) აძლევს უფლებას, ორი წლის განმავლობაში სრულფასოვნად გამოიყენონ №4 საჯარო სკოლის სპორტდარბაზი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შესაბამისად, რეკომენდებულია, დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ სწავლის დაწყებამდე დაადგინოს მოცემული სივრცის გამოყენების განრიგი, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინფრასტრუქტურის თანაბარი ხელმისაწვდომობა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის.
- 2.2.1.2. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისა და მდგრადობისათვის დამატებით შესაბამისი კომპეტენციის პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოძიება.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროებისამებრ. ასევე დარგის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლისთვის CISCO სასერტიფიკატო პროგრამის(ები) გავლა და შესაბამისი დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენა.
- 2.2.1.4. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის განვითარება, მიზნობრივი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ორგანიზებას, CISCO სასერტიფიკატო პროგრამის(ები) გავლა, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით მენეჯერული და საგანმანათლებლო კომპეტენციების გაუმჯობესება.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 215606280) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 5**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეშვიდე საკითხი:** სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 25 ივნისის №750127 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 11 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლაში (ქ. ჭიათურა, სოფელი წირქვალი). დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის (1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის (3.1. კომპონენტი) , დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3., 2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. ასევე ვიზიტის ფარგლებში დეტალურად განიხილა მისია ხედვა ღირებულებები, შესაბამისი ოქმები, გაზიარების მექანიზმები, შემოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული A, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №2-44 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მისცა ექსპერტებს, საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და უზრუნველყოს სტრუქტურის გადახედვა და თანამშრომელთა ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა.

- 4.1.1.2. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.
- 4.1.1.3. ინდიკატორი - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება.
- 2.2.1.1. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით.
- 2.2.1.2. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში სასწავლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისა და მდგრადობისათვის დამატებით შესაბამისი კომპეტენციის პროფესიულ მასწავლებელთა მოძიება.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს მასწავლებელთა გადამზადება/განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით მათ შორის სწავლების და შეფასების ნაწილში ასევე დარგის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლისთვის CISCO სასერტიფიკატო პროგრამა (ები) გავლა და შესაბამისი დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენა.
- 2.2.1.4. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის განვითარება, მიზნობრივი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება, CISCO სასერტიფიკატო პროგრამა (ები) გავლა, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით მენეჯერული და საგანმანათლებლო კომპეტენციების გაუმჯობესება.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - რეკომენდებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება.

გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ დაწესებულებას მიეცა ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულების სპეციფიკას. ასევე სპორტ დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინფრასტრუქტურის თანაბარი ხელმისაწვდომობა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლას (ს/კ: 215606690) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 6).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მერვე საკითხი:** სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითააცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითააცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ ქალაქ ხაშურის №7 საჯაროს სკოლაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 ივნისის №774519 ბრძანების საფუძველზე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 7 ივლისს (მისამართი: ქ. ხაშური, თამარ მეფის №10-ა). ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან. ვიზიტის დროს, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ განხილული იქნა ასევე დაწესებულებაში მასწავლებელთა დატვირთვა, რომლებიც ასევე ჩართულნი იქნებიან პროფესიული პროგრამების განხორციელებაში. შეფასებით დადგინდა, რომ მასწავლებელთა დატვირთვა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს არ სცდება. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი, დაწესებულების მიერ, თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (13.06.2025 ბრძანება №2-120), რომლითაც კომპონენტი 4.1 „პერსონალის და პროცესების მართვა“ შეფასებულია „ნაწილობრივი შესაბამისობით, ხოლო 2.2 „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“ „მეტწილი შესაბამისობით“. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა შეფასებით დარჩა უცვლელი.

დაწესებულება, 2025 წლის 17 ივლისის №880665 კორესპონდენციით ეთანხმება დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და რეკომენდაციებს. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ორგანიზაციული მოწყობის/სტრუქტურული სქემის ცვლილება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის ფუნქცია მოვალეობების განაწილება და პერსონალის ჩართულობა პროფესიული განათლების პროგრამის ადმინისტრირება-განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შექმნა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

- 2.2.1.2. ინდიკატორი - დაწესებულებამ, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულებისთვის ერთზე მეტი მასწავლებლის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

#### გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები

- 3.1.1.4. ინდიკატორი - სასურველია, პროფესიულ სტუდენტის ხელშეკრულების ტექსტში დაკონკრეტდეს ის ძირითადი დოკუმენტები/სამართლებრივი აქტები, რომლის გაცნობის დადასტურებასაც ახდენს პირის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ან დანართის სახით დაერთოს მათი
- რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად:
- 2.1.1.8. ინდიკატორი - განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ენის მოდულები. არსებული ვერსიები ჩანაცვლდეს 2021 წლის 3 თებერვლის №55016 ბრძანების შესაბამისი ვერსიებით.
- 2.4.1.1. ინდიკატორი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სასწავლო გეგმების კორექტირება.
- 2.4.1.6. ინდიკატორი - სასწავლო გარემოს მოწყობის შემდეგ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოხდეს საფრთხეები/რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს კონკრეტულ სასწავლო/სამუშაო გარემოს უსაფრთხოებასა და პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობის დაცვას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მაძღოდა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

#### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლას (ს/კ: 243891491) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 7).

**საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.**

**მეცხრე საკითხი:** სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქ. გორის №7 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის ბრძანების №759062 საფუძველზე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ადმინისტრაციული სერვისები" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 1 ივლისს (მისამართი ქ. გორი, გორგასალის ქ. №1).

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტის დროს, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ განხილული იქნა ასევე დაწესებულებაში მასწავლებელთა დატვირთვა, რომლებიც ასევე ჩართულები იქნებიან პროფესიული პროგრამების განხორციელებაში. შეფასებით დადგინდა, რომ მასწავლებელთა დატვირთვა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს არ სცდება. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი, დაწესებულების მიერ, თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (13.06.2025 ბრძანება №2-49), რომლითაც კომპონენტი „4.1 პერსონალის და პროცესების მართვა“ შეფასებულია „ნაწილობრივი შესაბამისობით, ხოლო “2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“ „მეტწილი შესაბამისობით“. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა შეფასებით დარჩა უცვლელი.

დაწესებულება, 2025 წლის 16 ივლისის №878299 კორესპონდენციით ეთანხმება დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და რეკომენდაციებს. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ორგანიზაციული მოწყობის/სტრუქტურული სქემის ცვლილება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის ფუნქცია მოვალეობების განაწილება და პერსონალის ჩართულობა პროფესიული განათლების პროგრამის ადმინისტრირება-განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

- 2.2.1.2. ინდიკატორი - დაწესებულებამ, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულებისთვის ერთზე მეტი მასწავლებლის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

#### გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები

- 1.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია გადაიხედოს ხედვის ფორმულირება და შესაბამისობაში მოვიდეს, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან, დასახულ მიზანსა და პრიორიტეტებთან.
- 3.1.1.2. ინდიკატორი - სასურველია დაწესებულებამ პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში ასახოს შიდა რეგულაციით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების ვალდებულება.
- 3.1.1.4. ინდიკატორი - სასურველია, ხელშეკრულების ნიმუშში, სრულყოფილად აისახოს (გაჩნდეს შესაბამისი ველი) ხელშეკრულების მხარეების შესახებ, კერძოდ, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის შესახებ ინფორმაცია; ასევე შიდა რეგულაციით განსაზღვრული ხელშეკრულების ძალაში შესვლის პუნქტის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს ხელშეკრულების ტექსტთან და ხელშეკრულების ტექსტში დაკონკრეტდეს ის ძირითადი დოკუმენტები/სამართლებრივი აქტები, რომლის გაცნობის დადასტურებასაც ახდენს პირი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ან მათი ნუსხა დანართის სახით დაერთოს დოკუმენტს.
- 4.1.2.3. ინდიკატორი - სასურველია, გადაიხედოს დაწესებულების მიერ, საქმისა და რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების პოზიციებისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და განისაზღვროს ისინი კონკრეტული შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით.
- 2.1.1.8. ინდიკატორი - განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ენის მოდულები. არსებული ვერსიები ჩანაცვლდეს 2021 წლის 3 თებერვლის №55016 ბრძანების შესაბამისი ვერსიებით.
- 2.4.1.1. ინდიკატორი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #416 დადგენილების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სასწავლო გეგმების კორექტირება.
- 2.4.1.6. ინდიკატორი - სასწავლო გარემოს მოწყობის შემდეგ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოხდეს საფრთხეები/რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს კონკრეტულ სასწავლო/სამუშაო გარემოს უსაფრთხოებას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლას (ს/კ: 218018847) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 8**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეათე საკითხი:** სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯაროს სკოლაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 ივნისის ბრძანების №774607 საფუძველზე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ადმინისტრაციული სერვისები" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 ივლისს (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი შინდისი). ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან. ვიზიტის დროს, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ განხილული იქნა ასევე დაწესებულებაში მასწავლებელთა დატვირთვა, რომლებიც ასევე ჩართულები იქნებიან პროფესიული პროგრამების განხორციელებაში. შეფასებით დადგინდა, რომ მასწავლებელთა დატვირთვა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს არ სცდება. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი, დაწესებულების მიერ, თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (13.06.2025 ბრძანება №2-99), რომლითაც კომპონენტი 4.1 „პერსონალის და პროცესების მართვა“ შეფასებულია „ნაწილობრივი შესაბამისობით, ხოლო 2.2 „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“ „მეტწილი შესაბამისობით“. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა შეფასებით დარჩა უცვლელი. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ ვითარებაში. დაწესებულება, 2025 წლის 25 ივლისის №913827 კორესპონდენციით ეთანხმება დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებსა და გამოთქმულ რეკომენდაციებს.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ორგანიზაციული მოწყობის/სტრუქტურული სქემის ცვლილება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის ფუნქცია მოვალეობების განაწილება და პერსონალის ჩართულობა პროფესიული განათლების პროგრამის ადმინისტრირება-განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში
- 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შექმნა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.
- 2.2.1.2. ინდიკატორი - დაწესებულებამ, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულებისთვის ერთზე მეტი მასწავლებლის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები

- 1.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ხედვის დროში რეგლამენტირება.
- 3.1.1.4. ინდიკატორი - სასურველია, პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ტექსტში დაკონკრეტდეს ის ძირითადი დოკუმენტები/სამართლებრივი აქტები, რომლის გაცნობის დადასტურებასაც ახდენს პირის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ან დანართის სახით დაერთოს.
- 2.1.1.8. ინდიკატორი - განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ენის მოდულები. არსებული ვერსიები ჩანაცვლდეს 2021 წლის 3 თებერვლის №55016 ბრძანების შესაბამისი ვერსიებით.
- 2.4.1.1. ინდიკატორი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სასწავლო გეგმების კორექტირება.
- 2.4.1.6. ინდიკატორი - სასწავლო გარემოს მოწყობის შემდეგ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, იდენტიფიცირებული იქნეს საფრთხეები/რისკები და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს კონკრეტულ სასწავლო/სამუშაო გარემოს უსაფრთხოებასა და პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობის დაცვას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა. საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლას (ს/კ: 218047502) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 9).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეთერთმეტე საკითხი:** სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში (შემდეგში „დაწესებულება“) ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2025 წლის 28 ივნისის ბრძანების №774624 საფუძველზე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 9 ივლისს (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვეში).

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან. ვიზიტის დროს, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ განხილული იქნა ასევე დაწესებულებაში მასწავლებელთა დატვირთვა, რომლებიც ასევე ჩართულები იქნებიან პროფესიული პროგრამების განხორციელებაში. შეფასებით დადგინდა, რომ მასწავლებელთა დატვირთვა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს არ სცდება. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი, დაწესებულების მიერ, თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (11.06.2025 ბრძანება №2-38), რომლითაც კომპონენტი 4.1 „პერსონალის და პროცესების მართვა“ შეფასებულია „ნაწილობრივი შესაბამისობით, ხოლო 2.2 „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“ „მეტწილი შესაბამისობით“. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა შეფასებით დარჩა უცვლელი. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ ვითარებაში. დაწესებულება, 2025 წლის 23 ივლისის №893294 კორესპონდენციით ეთანხმება დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ორგანიზაციული მოწყობის/სტრუქტურული სქემის ცვლილება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში
- 4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის ფუნქცია მოვალეობების განაწილება და პერსონალის ჩართულობა პროფესიული განათლების პროგრამის ადმინისტრირება-განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შექმნა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.
- 2.2.1.2. ინდიკატორი - დაწესებულებამ, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულებისთვის ერთზე მეტი მასწავლებლის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები

რეკომენდაციები, რომელიც დაწესებულებას მიეცა 3.1. სტანდარტის კომპონენტთან განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად.

- 1.1.1.3. ინდიკატორი - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ხედვის დროში რეგლამენტირება.
- 3.1.1.2. ინდიკატორი - სასურველია დაწესებულებამ პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში ასახოს შიდა რეგულაციით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების ვალდებულებაც.
- 3.1.1.4. ინდიკატორი - სასურველია, პროფესიულ სტუდენტის ხელშეკრულების ტექსტში დაკონკრეტდეს ის ძირითადი დოკუმენტები/სამართლებრივი აქტები, რომლის გაცნობის დადასტურებასაც ახდენს პირის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ან დანართის სახით დაერთოს მათი ნუსხა.
- 2.1.1.8. ინდიკატორი - განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ენის მოდულები. არსებული ვერსიები ჩანაცვლდეს 2021 წლის 3 თებერვლის №55016 ბრძანების შესაბამისი ვერსიებით.
- 2.4.1.1. ინდიკატორი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის

2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სასწავლო გეგმების კორექტირება.

- 2.4.1.6. ინდიკატორი - სასწავლო გარემოს მოწყობის შემდეგ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოხდეს საფრთხეები/რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს კონკრეტულ სასწავლო/სამუშაო გარემოს უსაფრთხოებასა და პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობის დაცვას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მაძღვრობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯაროსკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯაროსკოლას (ს/კ: 218047101) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 10**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ნოდარ ხადურის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეთორმეტე საკითხი:** სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ გორის №9 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის №9 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 ივნისის ბრძანების №774598 საფუძველზე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 8 ივლისს (მისამართი: ქ. გორი სტალინის №32).

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან. ვიზიტის დროს, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ განხილული იქნა ასევე დაწესებულებაში მასწავლებელთა დატვირთვა, რომლებიც ასევე ჩართულნი იქნებიან პროფესიული პროგრამების განხორციელებაში. შეფასებით დადგინდა, რომ მასწავლებელთა

დატვირთვა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს არ სცდება. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი, დაწესებულების მიერ, თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (18.06.2025 ბრძანება №2-189), რომლითაც კომპონენტი 4.1 „პერსონალის და პროცესების მართვა“ შეფასებულია „ნაწილობრივი შესაბამისობით, ხოლო 2.2 „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“ „მეტწილი შესაბამისობით“. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა შეფასებით დარჩა უცვლელი. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ ვითარებაში. დაწესებულება, 2025 წლის 23 ივლისის №905288 კორესპონდენციით ეთანხმება დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ორგანიზაციული მოწყობის/სტრუქტურული სქემის ცვლილება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის ფუნქცია მოვალეობების განაწილება და პერსონალის ჩართულობა პროფესიული განათლების პროგრამის ადმინისტრირება-განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შექმნა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.
- 2.2.1.2. ინდიკატორი - დაწესებულებამ, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულებისთვის ერთზე მეტი მასწავლებლის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები

- 3.1.1.2. ინდიკატორი - სასურველია დაწესებულებამ პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში ასახოს შიდა რეგულაციით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების ვალდებულებაც.
- 3.1.1.4. ინდიკატორი - სასურველია, პროფესიულ სტუდენტის ხელშეკრულების ტექსტში დაკონკრეტდეს ის ძირითადი დოკუმენტები/სამართლებრივი აქტები, რომლის გაცნობის დადასტურებასაც ახდენს პირის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ან დანართის სახით დაერთოს მათი ნუსხა.

- 2.1.1.8. ინდიკატორი - განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ენის მოდულები. არსებული ვერსიები ჩანაცვლდეს 2021 წლის 3 თებერვლის №55016 ბრძანების შესაბამისი ვერსიებით.
- 2.4.1.1. ინდიკატორი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სასწავლო გეგმების კორექტირება.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს საინტერესო პრეზენტაციის წარმოდგენისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ გორის №9 საჯაროსკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ გორის №9 საჯარო სკოლას (ს/კ: 218016732) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ გორის №9 საჯაროსკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 11).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ გორის №9 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეცამეტე საკითხი:** სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2025 წლის 26 ივნისის №759028 ბრძანების საფუძველზე, დაევალა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების პირობების შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბალის დიზაინი" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება და ვიზიტის განხორციელება სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლაში (მის: ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი) 2025 წლის 3 ივლისს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 3 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლაში (მის: ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი). სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა.

ავტორიზებულ რეჟიმში აგრძელებს საქმიანობას 2023 წლიდან და ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. ავტორიზაციის შედეგად, სკოლას განესაზღვრა მოსწავლეთა ზღვრული ნორმა-400 მოსწავლის ოდენობით. ამჟამად, სკოლაში სწავლობს 314 მოსწავლე.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, რომელმაც შეაფასა დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობით. სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხელს არ შეუშლის მის ძირითად საქმიანობას. ექსპერტთა შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

- 4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან, რეკომენდებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა/გაუმჯობესება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის №2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
- 4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან, რეკომენდებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის №2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
- 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან, რეკომენდებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის №2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
- 2.2.1.2. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან, რეკომენდებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების მოძიება, დამატება და განვითარება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის №2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
- 2.2.1.3. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან, რეკომენდებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის განვითარება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის №2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
- 2.2.1.5. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან, რეკომენდებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით,

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის №2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

